ჯანმრთელობა — უპირველეს ყოვლისა!

ავტომანქანებით „დატყვევებული“ სპორტული მოედნები... იქ კი, სადაც მანქანებს ვერ შეუღწევიათ, ახალგაზრდობა ბატონობს — ასეთია თბილისური კონტრასტი. მაგრამ იშვიათად თუ ვხვდებით ისეთ ეპიზოდს, როგორიც მესამე სურათზეა აღბეჭდილი — დედაბუნების სიკეთეს, ადამიანებისათვის ჯანმრთელობისა და მხნეობის ამ ღვთით ბოძებულ მადლს, ვერ ვიყენებთ. ვერ ვიცლით? უნდა მოვიცალოთ!

ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

4 ივნისი, სამშაბათი, 1991 წ.
№ 102 (10515) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომში

საქართველოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებისთვის ოლიმპიური პენსიის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სპორტის ისტორიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის აღსანიშნავად, ოლიმპიურ ასპარეზზე საქართველოს სპორტის ღირსეულ წარმოჩენაში დიდი დამსახურებისათვის, რესპუბლიკაში ოლიმპიზმის იდეების პროპაგანდისა და დამკვიდრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, აგრეთვე ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ვეტერან სპორტსმენთა სოციალური დაცვის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი

ადგენს

1. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მოზიდული სახსრებიდან 1991 წლის 1 ივლისიდან საქართველოს რესპუბლიკიდან ოლიმპიური თამაშების პრიზიორებს ყოველთვიურად დაენიშნოთ ოლიმპიური პენსია შემდეგი ოდენობით:

— ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს — თვეში 300 მანეთი;

ოლიმპიური თამაშების მეორე და მესამე პრიზიორებს ერთდროული დახმარება — 1000-1000 მანეთი;

2. სპორტსმენს, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ორჯერ ან მეტად, დაენიშნოს ოლიმპიური პენსია თვეში 400 მანეთის ოდენობით.

3. გარდაცვლილი ოლიმპიური ჩემპიონის ა. ქორიძის ოჯახს გაეწიოს ერთდროული დახმარება 1000 მანეთის ოდენობით.

4. მიღებული იქნეს ცნობად, რომ ოლიმპიური პენსიის დანიშვნის საკითხზე ინფორმირებულია საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი.

ნ. ბაფრინდაშვილი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი

რეპლიკა

რა დარჩა ე.წ. ხალხთა სპარტაკიადიდან?

ცნობილია, რომ საქართველოს წარმომადგენლები აღარ მონაწილეობენ საკავშირო პირველობებში, ტურნირებში, კომპლექსურ სპორტულ შეჯიბრებებში.

შეწყდა თუ მიმდინარეობს ე. წ. სსრ კავშირის ხალხთა 1991 წლის ზაფხულის სპარტაკიადა? გვეკითხებიან „ლელოს“ მკითხველები.

— სპარტაკიადა ჯერჯერობით არ გაუქმებულა, მაგრამ გარდა იმისა, რომ ბევრმა „უგანა“, სპარტაკიადას სხვა პრობლემებიც გაუჩნდა. განსაკუთრებით ფინანსური. ამ შეჯიბრებას 2 მილიონამდე მანეთი დასჭირდება. მაგრამ თურმე, არც ეს იქნება საკმარისი. ცხოვრების გაძვირების გამო, სპარტაკიადის პროგრამიდან უკვე ამოაგდეს კალათბურთი, ხელბურთი, წყალბურთი, ქალთა ფრენბურთი... სახსრების ეკონომიისათვის... შეზღუდულია მონაწილეთა რაოდენობაც და ასპარეზობათა ჩატარების ვადებიც.

* * *

სპორტის დეპარტამენტი და ფედერაციები

ფარიკაობა

გაიმართა ფარიკაობის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა. ფედერაციის პრეზიდენტად ყრილობამ აირჩია საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირის მდივანი, გაზეთ „დროშის“ რედაქტორი, წარსულში ცნობილი მოფარიკავე არჩილ გოგელია. ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია მორის სახვაძე, გენერალურ მდივნად — ტრიფონ მესხი.

რა ისმის უცხოეთიდან?

პირველი ფინალური მატჩი — 93:91

ნბა-ს (კალათბურთის ეროვნული ასოციაცია) ჩემპიონატის ერთი ფინალისტის ვინაობა გაირკვა ჯერ კიდევ 27 მაისს, როცა „ჩიკაგო ბულსმა“ მეოთხე შეხვედრაც მოუგო შარშანდელ ტურნირში გამარჯვებულს „დეტროიტ პისტონსს“ (ამ ორთაბრძოლის საბოლოო შედეგი იყო 4:0).

მძაფრად წარიმართა სერიები „ლოს-ანჯელეს ლეიკერსსა“ და „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსს“ შორის. აქ ფინალისტი მხოლოდ მეექვსე შეხვედრის შემდეგ გამოვლინდა, „ლეიკერსმა“ დაამარცხა მეტოქე ერთი ქულით — 91:90. მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო ლოსანჯელესელთა ლიდერი „მეჯიკ“ ჯონსონი, რომელმაც თავის კლუბს 25 ქულა შესძინა, 8 შედეგიანი პასი განახორციელა და 11-ჯერ „მოხსნა“ ბურთი ფარიდან. 2 ივნისს გაიმართა „პლეი-ოფის“ სერიის პირველი ფინალური მატჩი, „მეჯიკ“ ჯონსონისა და მაიკლ ჯორდანის გუნდებს („ლეიკერსსა“ და „ჩიკაგოს“) შორის. ამ პირველ შეხვედრაში წარმატებას „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა“ მიაღწია — 93:91.

პროფესიული რინგის სიახლენი

ამ დღეებში გაიმართა რამდენიმე მატჩი მსოფლიო პირველობაზე პროფესიულ მოკრივეთა მონაწილეობით.

პალმ-სპრინგსი (აშშ). მსოფლიო ჩემპიონმა 79,8 კგ წონით კატეგორიაში (154 ფუნტი) ამერიკელმა ტერი ნორისმა შეინარჩუნა ტიტული (იგი ჩემპიონია კრივის მსოფლიო საბჭოს ვერსიით). მან მერვე რაუნდში ნოკაუტით აჯობა თანამემამულეს — დონალდ კერის. 29 წლის მოკრივემ ამ მარცხის შემდეგ განაცხადა, რომ თავს ანებებს სპორტს. სხვათა შორის, ნორისმა წლეულს, თებერვალში, ასევე „პენსიაზე“ გაუშვა ლეგენდარული „შუგარი“ — რეი ლეონარდი.

ამ დღეს აქ კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა გაიმართა 66,25 კგ წონაში მსოფლიო ჩემპიონს, ამერიკელ მელდრიკ ტეილორსა (ჩემპიონი მსოფლიო ასოციაციის ვერსიით) და ვენესუელელ ლუის გარსიას შორის. ქულებით გაიმარჯვა ჩემპიონმა.

სიდნეი. მსოფლიო ექსჩემპიონმა (მოკრივეთა მსოფლიო საბჭოს ვერსიით) 78,9 კგ წონაში ავსტრალიელმა ჯეფ ჰარდინგმა მეშვიდე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით აჯობა ამერიკელ ბობი ჯენინგს. ამ წარმატებით მან მსოფლიო ჩემპიონთან, ინგლისელ დენის ენდრისთან ბრძოლის უფლება მოიპოვა.

საჩუქარი უეინ გრეცკის

ლოს-ანჯელესი. პროფესიულ ჰოკეისტთა პოპულარული კლუბის „ლოს-ანჯელეს კინგზის“ ლიდერს უეინ გრეცკის რომ ჰკითხოთ, ვის გვერდით ისურვებდით თამაშსო, დაუფიქრებლად მიიღებთ პასუხს — იარი კურის გვერდით. იცით, ვინ არის იარი კური? ფინელი ჰოკეისტი, რომელიც გრეცკის სამეულის წევრი იყო „ედმონტონ ოილერზში“. ეს კლუბი მაშინ მსოფლიოში უძლიერესად ითვლებოდა, ვინაიდან ხუთჯერ მოიგო სტენლის თასი.

კურიმ კარგა ხანია დატოვა ამერიკის კონტინენტი. 31 წლის ჰოკეისტი ამჟამად იტალიის პროფესიულ კლუბში „მილან დევილზში“ თამაშობს, მაგრამ ფინანსურად „ფილადელფია ფლაიერზსთან“ არის დაკავშირებული. კური, ალბათ, მილანში დაამთავრებდა თავის კარიერას, მის ცხოვრებაში მოულოდნელად რომ არ შემოჭრილიყო „ლოს-ანჯელეს კინგზის“ მეპატრონე ბრიუს მაკნოლი. ამ საკმაოდ მდიდარ საქმოსანს აქვს ერთადერთი ოცნება — მოიგოს სტენლის თასი. მაგრამ ეს რომ მოხდეს, ექსპერტების აზრით, საჭიროა გრეცკის გვერდში ჰყავდეს იარი კური. სტენლის თასისთვის ბრძოლის მრავალწლიან ისტორიაში გრეცკი საუკეთესო სნაიპერად ითვლება, კური კი მეორე ბომბარდირად.

ერთი სიტყვით, ცნობილმა ნუმიზმატმა, რომელსაც ბევრი საერთაშორისო ჯილდო აქვს მიღებული გამოფენებზე, მსოფლიოში საუკეთესო სადოლე ცხენების პატრონმა ბრიუს მაკნოლმა გადაწყვიტა შეიძინოს იარი კური და „საჩუქრად მიართვას“ გრეცკის ერთი პირობით — „ლოს ანჯელეს კინგზმა“ უნდა მოიპოვოს სტენლის თასი. მილიონერმა სამრაუნდიანი მოლაპარაკება გამართა „ფილადელფია ფლაიერზთან“, სანამ ხელში ჩაიგდებდა ჰოკეისტს. მაგრამ ამ ამბის შესახებ ჯერჯერობით არაფერი იცის უეინ გრეცკიმ, რომელიც ესპანეთში მოგზაურობს.

ხოკერისა და ფეხბურთის „პაემანი“ თბილისში (იხ. მე-3 გვ.).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის XV ტურის შეხვედრები უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის:

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„ოდიში“ (ზუგდიდი) —
„ალაზანი“ (გურჯაანი) 3:1
„მერცხალი“ (ოზურგეთი) —
„ცხუმი“ (სოხუმი) 2:0
„დილა“ (გორი) —
„ბათუმი“ (ბათუმი) 2:0
„კოლხეთი“ (ხობი) —
„კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1:3
„სანავარდო“ (სამტრედია) —
„ქუთაისი“ (ქუთაისი) 0:1
„მშიური“ (გალი) —
„გორდა“ (რუსთავი) 0:1
„სამგურალი“ (წყალტუბო) —
„გურია“ (ლანჩხუთი) 0:1

„ივერია“ (ხაშური) —
„იბერია“ (თბილისი) 0:2

„შევარდენი-1906“ (თბილისი) —
„მარგვეთი“ (ზესტაფონი) 3:1

პერსპექტივა — XXI

ქართულმა ბიზნესმა და სპორტმა ერთად უნდა იარონ!

თქვენ რას ფიქრობთ, არ ვიცი, მე კი მტკიცედ მჯერა: ჩვენი ცხოვრების ამ ორმა სფერომ ერთმანეთს „ხელი უნდა ჩაჰკიდოს“, საყოფიერად ითანამშრომლოს და ურთიერთ კავშირით საერთო საქმე აკეთოს. სამოცდაათწლიანი „დიდი ღამის“ მძიმე პერიოდში რატომღაც ამრეზით ვუყურებდით ბიზნესს, მით უმეტეს, სპორტთან კავშირში (მაგალითი? — ჩვენი „მოყვარული“ სპორტსმენები კაპიკების ფასად ემსახურებოდნენ პროფესიულ საქმეს, ფულზე ხმის ამოღება კი სირცხვილად ითვლებოდა). არადა, ხომ ვიცოდით, რომ თავს ვიტყუებდით, ხომ ვიცოდით, რომ სპორტისა და რეკლამის „შეამხანაგებით“ გვარიანი ბიზნესის „დატრიალება“ შეიძლებოდა. იმასაც კარგად ვგრძნობდით, რომ ბიზნესმენობას საქმის ალღოსთან ერთად სპორტული ჟინი და აზარტიც სჭირდება. ალბათ ამიტომაც არის, უცხოეთში სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ სპორტსმენები საქმიან ადამიანებად რომ იქცევიან ხოლმე. წლების მანძილზე ამგვარი ნიჭით დაჯილდოებულთ საქმოსნებს ვეძახდით, და, თუ ჩვენი სათაყვანებელი სპორტსმენი სოციალისტური „ბიზნესის“ ტიპიური ფორმით — „საბჭოთა ვაჭრობით“ „დაინტერესდებოდა“, ალმაცერად ვუყურებდით. დღეს ბევრ საკითხში ჩვენი შეხედულებები რადიკალურად შეიცვალა. ახლა, როცა საკუთარ თავს თავადვე უნდა ვუპატრონოთ, კიდევ უფრო ცხადი ხდება სპორტისა და ბიზნესის ურთიერთკავშირის აუცილებლობა.

შეიძლება გია კიკაბიძის გვარი ქართული ფეხბურთის ახალგაზრდა გულშემატკივრებს არაფერს ეუბნება, ძველებს კი მყის გაახსენდებათ მამამისი — ანდრო კიკაბიძე, 35-ე საფეხბურთო სკოლის პირველი თაობის კაპიტანი, ცნობილი მწვრთნელების — შოთა მერკვილაძის, ვლადიმერ გვარჯალაძის, ვარლამ შავდიას ნიჭიერი შეგირდი. გიაც მამის კვალს გაჰყვა. ბავშვობაში, როგორც ყველა მისი მეგობარი, ისიც ქუჩაში დასდევდა ბურთს. ნაძალადევში იზრდებოდა, იმ უბანში, სადაც ბურთს არაერთი ყმაწვილი გამოუზრდია და დაუკვალიანებია, ქართული ფეხბურთისთვის ბევრი ოსტატი უჩუქებია. მარტო მიშა მესხის ხსენება რად ღირს! გიასთვის მაგალითის მიმცემი უპირველესად მამა იყო, ამიტომ მასთან საუბარი სწორედ ბავშვობისა და მამის გახსენებით დავიწყეთ.

— იმ პერიოდში, როცა მამა ფეხბურთმა გაიტაცა, ქალაქის ბიჭები სპორტის ამ სახეობით ცოცხლობდნენ და სულდგმულობდნენ. თუ ბიჭი იყავი და ჯანი გერჩოდა, ბურთი უნდა გეთამაშა, ჯერ უბანში თამაშობდა, ქუჩის ფეხბურთის „აკადემიამ“ გამოაწრთო, და როცა, 35-ე საფეხბურთო სკოლა გაიხსნა, სხვა ნაძალადეველ ბიჭებთან ერთად მთლად „ხელცარიელი“ არც ის მისულა. მამასთან ერთად მერაბ ბერძენიშვილი, ბიძინა ტაბიძე, გივი ფაცურია, რევაზ სალუქვაძე, გივი ჯორბენაძე, ოთარ ოთარაშვილი, გივი ტატიშვილი, ნოდარ მიხაილოვი, ავთანდილ ხუციშვილი, ვოვა ივანოვი, ზურაბ ბარათაშვილი, ვარჯიშობდნენ. სწორედ მათ და მათმა აღმზრდელებმა ჩაუყარეს საფუძველი 35-ე სკოლის მართლაც სახელოვან ისტორიას. მათ შემდეგ უკვე მესხის თაობა მოვიდა. გული მწყდება, მამამ დიდი ფეხბურთი რომ ვერ ითამაშა. ტრავმამ არ მისცა ამის საშუალება. ახალგაზრდობაში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდში გამოდიოდა, შემდეგ თბილისის ტოდო-ს ღირსებას იცავდა. აქტიურ სპორტს რომ გამოეთხოვა, მწვრთნელად მუშაობდა ჯერ მარტვილში, მერე — თელავში. სხვათა შორის, თელავში მისი იქ მუშაობის დროს გაიხსნა სტადიონი, რომელიც დღესაც ემსახურება ქალაქის გუნდს. მამაჩემმა ფეხბურთში თავისი სათქმელი ბოლომდე ვერ თქვა. ამიტომ სურდა, ის, რაც თვითონ ვერ შეძლო, მე განმეხორციელებინა. ათ წლამდე მეც უბანში დავდევდი ბურთს, ათი წლისა კი მამამ თავის მშობლიურ, 35-ე სკოლაში მიმიყვანა თენგიზ კუბლაშვილთან. ასე დაიწყო ჩემი გზა სპორტში. პირველად „ტყავის ბურთის“ პრიზზე ვიასპარეზე, ქალაქისა და რესპუბლიკის ჩემპიონი გავხდი თანაგუნდელებთან ერთად, თან საუკეთესო ბომბარდირის პრიზიც დავიმსახურე. შემდეგ, როცა წამოვიზარდე, საქართველოს ნაკრებში კარლო მჭედლიძის, თამაზ კოსტავას, დავით მუჯირის, რევაზ ბურკაძის, ვალერი ძებისაშვილის, გია ომიაძის მხარდამხარ „სიჭაბუკის თასის“ გათამაშებაშიც გამოვედი, და გავიმარჯვეთ კიდეც. სხვათა შორის, სპორტმა ძალიან ბევრი მეგობარი შემძინა და ამ ტურნირის ერთ-ერთი გამარჯვებული გია ომიაძე დღეს ჩემი პარტნიორია.

● **ვიცი, თანატოლთა შორის, საკავშირო ჩემპიონიც იყავით.**

— 35-ე სკოლის სახელით საფეხბურთო სკოლების საკავშირო ჩემპიონატში ვმონაწილეობდით. ძლიერი შემადგენლობა გვყავდა და ამდენად, ჩვენი ჩემპიონობაც ლოგიკური იყო. იმ დროს გუნდს კოტე ოდიკაძე ავარჯიშებდა... მე, მერაბ ცხოიძე და გია ომიაძე სხვა თანაგუნდელებსა და მეტოქეებზე ერთი წლით უმცროსები ვიყავით.

● **ერთ-ერთ ტურნირზე საუკეთესო ბომბარდირი გახდით, თქვით. თქვენ თავდამსხმელი იყავით, ამ ამპლუის მოთამაშეს კი ხშირად განსაკუთრებით ის მატჩი ამახსოვრდება, რომელშიც მისმა გოლმა შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. ყმაწვილკაცობაში ამას, ალბათ, მეტი ფასი და რაღაც განსაკუთრებული ხიბლი აქვს.**

— ერთ ასეთ თამაშს მეც გავიხსენებ, „ტყავის ბურთის“ საქალაქო პირველობის ფინალურ მატჩში ჩემი პერსონალური მეურვე მუჯირი იყო. შეხვედრის დასასრულს, თითქმის არაფერი აკლდა, ანგარიში კი საყაიმო გახლდათ — 3:3. ეს სამივე ბურთი მე გავიტანე, მაგრამ როცა მატჩს ვერ იგებ, შენი ეს სიმარჯვე თითქოს ხუნდება. თამაშის დამთავრებამდე წამები რჩებოდა. ბურთი რომ მივიღე, კარს დაახლოებით 25 მეტრით ვიყავი დაშორებული. უცებ მამის ხმა შემომესმა: „გია, პირდაპირ დაარტყი“. შეუჩერებლად, ძლიერად დავარტყი და მეოთხე ბურთი გავიტანე გია კალმახელიძის კარში. სწორედ მაშინ მოვიპოვე ჩემი პირველი „პირადი“ პრიზი — საუკეთესო ბომბარდირისა.

...დასაწყისში აღვნიშნეთ, უცხოეთში „ვეტერანი“ სპორტსმენები ყველაზე ხშირად ბიზნესს ჰკიდებენ ხელს და ამ საქმეშიც ისევე აზარტით მოქმედებენ, როგორც ადრე საასპარეზო მოედანზე. გია კიკაბიძესაც ფეხბურთიდან გამოჰყვა ბრძოლის ჟინი და შემართება. იგი ახლახან დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც ერთ დიდ საქმეს ჩაეყარა საფუძველი, საქმეს, რომელიც სოლიდურ მოგებას ჰპირდება არა მარტო პარტნიორებს, არამედ საქართველოსაც.

● **გია, უფრო კონკრეტულად თქვენი ვიზიტის შესახებ...**

— თავიდანვე ვიტყვი, ჩვენი ბიზნესი ავტომობილები და ავტოსერვისია. ამერიკელებთან იმიტომ დავიჭირეთ საქმე, რომ მანქანები იქ სამჯერ უფრო იაფია, ვიდრე ევროპასა და იაპონიაში, ასე რომ, შეგვიძლია მყიდველს გაცილებით შეღავათიან ფასში შევთავაზოთ საქონელი. ჩემი პარტნიორია მოსკოვში მცხოვრები ქართველი თამაზ შაფათავა, რომელმაც იქ ხუთი წლის წინ გახსნა „ვოლვოს“ ავტოსერვისი. იგი ერთობლივი ფირმის „ასტრა-ინტერნეშნლის“ გენერალური დირექტორია. სხვათა შორის, თამაზიც სპორტსმენია, წარსულში ცნობილი ავტომრბოლი. ამერიკაში ერთად გავემგზავრეთ. ჩვენი მიზანი ამერიკული ფირმის „ჯენერალ მოტორსის“ ოფიციალურ წარმომადგენლებთან მოლაპარაკება იყო.

გია კიკაბიძე

ბიზნესში დიპლომატიას დიდი მნიშვნელობა აქვს. მთავარია, პარტნიორს რეალური, საქმიანი წინადადებები შესთავაზო და კონტრაქტი თითქმის გარანტირებულია. „ასტრა-ინტერნეშნლს“ მილიონი დოლარი აქვს ავსტრალიის ბანკში. ჩვენი ამერიკელი პარტნიორები ამ თანხამაც შეაგულიანა და საქმიანი მოლაპარაკება დაიწყეს.

ერთ ფაქტზე გიამბობთ: წარმოიდგინეთ, მენჰეტენზე, მსოფლიოს იმ წერტილში, ბიზნესის მწვერვალად რომ ითვლება, სადღაც ოცდამეხუთე სართულზე, ორი ქართველი ზის, ერთ-ერთი ცნობილი ბიზნესმენის ოფისში, რომელსაც მაგიდაზე ბუშთან ერთად გადაღებული სურათი უდევს. თარჯიმნად ის კაცი ჰყავთ, ტეტჩერს რომ ჩამოჰყვა საქართველოში — სერგეი მიხეევი. იქვე ზის სიტი-ბენკის მმართველის მრჩეველი. ხანგრძლივი საქმიანი საუბრის შემდეგ სასტუმროში ბრუნდებიან და ადმინისტრატორთან ხვდებათ კონტრაქტი ხელმოსაწერად, იმ პირობების გათვალისწინებით, რაზეც წელან ესაუბრებოდნენ თავიანთ შესაძლო პარტნიორს. ასეთ დროს ბიზნესში არ უნდა „ავარდე“. ჩვენმა საქმიანმა წინადადებებმა [illegible] დაინტერესა ამერიკელები, არჩევნის წინაშე [illegible].

● **უშუალოდ „ჯენერალ-მოტორსის“ ხელმძღვანელებთან გქონდათ საქმიანი საუბარი?**

— რა თქმა უნდა, ოღონდ ტელეფონით. მათი ოფისი დეტროიტშია, ჩვენ კი ნიუ-იორკიდან ვესაუბრეთ. შეგვპირდნენ, ორ კვირაში ჩამოვალთ მოსკოვშიო, მაგრამ, ეტყობა, იმდენად მაცდუნებელი იყო საქმეში ჩადებული ჩვენი მილიონი დოლარი, თითქმის კუდში მოგვყვნენ.

● **ბიზნესში ფული ფულს იგებსო, ამბობენ. როდის დატრიალდება თქვენი მილიონი დოლარი?**

— მალე თბილისში, დიღმის მასივში, ლაღიძის ქუჩაზე, გაიხსნება „ასტრა-ინტერნეშნლის“ საქართველოს ფილიალი, რომელსაც „ასტრა-დიღომი“ ჰქვია (სწორედ მისი დირექტორია გია კიკაბიძე. — ი. ჩ.), ახლა მთავარია ავტოსერვისის შენობის მოსაპირკეთებელი სამუშაოები მალე დაამთავროს „ინტურისტშენის“ სამშენებლო სამმართველომ. უკვე შევიძინეთ სამოცდაათი ათასი დოლარის სამონტაჟო დანადგარები. შემდეგ კატალოგების მიხედვით შევუკვეთეთ „სატურნის“, „ბიუიკის“, „პონტიაკისა“ და „კადილაკის“ სხვადასხვა ტიპის ავტომობილებს. სხვათა შორის, ოცდაათი „პონტიაკი“ უკვე გავყიდეთ, ოცი მანქანა კი მოსკოვშია. ვფიქრობთ, პირველ მოგებასაც მალე გავუგებთ გემოს.

● **ბიზნესი და სპორტი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. იქნებ გავიდეს წლები და თქვენმა ფირმამ ისეთი თანხა დააგროვოს, ბერნარ ტაპისა და ნუნიესისა არ იყოს, თქვენც შეისყიდოთ რომელიმე პროფესიული კლუბი?**

— ღმერთმა ქნას. გენერალურ დირექტორთან შეთანხმებით პირველივე მოგებით საქართველოს დაზარალებულ რაიონებს უნდა დავეხმაროთ. შემდეგ კი... უკვე აღვუთქვი დიდი მატერიალური დახმარება ქართველ მკლავჭიდელებს. ორი შვილი მყავს. უფროსი დათუნა, მკლავჭიდითაა გატაცებული. სხვათა შორის, მათმა პრეზიდენტმა ვახტანგ მუსელიანმა მეც შემომთავაზა სპორტის ამ სახეობაში ვარჯიში, როცა ერთ-ერთ მკლავჭიდელს მკლავი გადავუწიე. ვარჯიშის დრო ჯერჯერობით არა მაქვს. მატერიალურად კი მხარში ამოვუდგები მკლავჭიდელებს.

...მეტს აღარ ჩავძიებივარ. თბილისში ანდრო კიკაბიძეს იცნობდნენ, კარგად იცოდნენ მისი კაცურკაცობის მართალკაცობის ამბავი. გია მისი ვაჟია, მამის კვალზე მოსიარულე და მისი გზის გამგრძელებელი. ამიტომ, უბრალოდ, ვენდოთ. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

ინგა ჩახვაშვილი



გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და საბჭოთა კავშირის მრბოლები მონაწილეობდნენ ევროპის თასის გათამაშების მეხუთე ეტაპის შეჯიბრებაში, რომელიც დ-8 1600 კლასის მანქანებისათვის გაიმართა ლიტვის რესპუბლიკის ბაუს რაიონში.

სურათზე: შეჯიბრების მომენტი; ეტაპის გამარჯვებული, ესტონელი იაან ლიგური.

მხოლოდ გამარჯვებები

ძალოსნური სამბო. რესპუბლიკური ტურნირი 20 წლამდე ახალგაზრდებს შორის. ტურნირი ჩაატარა სპორტსაზოგადოება „დინამომ“.

დავით აფანასიევი („ამირანი“, სიღნაღი, 52 კგ.), ვასილ გიგუაშვილი (სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 56), სერგო სულხანიშვილი („ამირანი“, სიღნაღი, 60), მამუკა შენგელია (აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, 67,5), ბორის ყორბუზაშვილი („ამირანი“, თელავი, 75), სოსლან ქუმარიტოვი, („დინამო“, თბილისი, 82,5), გიორგი რეხვიაშვილი („ამირანი“, თელავი, 90).

● **სტოკჰოლმი.** შვეციის დედაქალაქის ტრადიციულ მარათონში ქალთა შორის გაიმარჯვა ამ ქვეყნის წარმომადგენელმა მიდე ჰამრინმა, ვაჟებშიც უძლიერესი იყო შვედი სტაიერი ოკე ერიკსონი — 2:12.38.

● **მონტე-კარლო.** მოცურავეთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში კომპლექსური ცურვა 200 მეტრზე დიდი უპირატესობით მოიგო გერმანელმა კრისტიან გესნერმა — 2.05,51. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვამ, ვინაიდან მასში ასპარეზობდნენ მსოფლიოს 1991 წლის ჩემპიონი ამერიკელი ტომ ჯეგერი, მისი არანაკლებ ტიტულოვანი თანამემამულე, სეულის ოლიმპიადის ხუთგზის ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი მეტ ბიონდი, მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი 200-მეტრიან დისტანციაზე ჯულიო ლამბერტი და სხვანი. სხვათა შორის, ვერც ერთმა ფავორიტმა ვერ აჩვენა საკადრისი შედეგი. გაიმარჯვე ჯეგერმა — 23,16. მეორე იყო ბიონდი) — (23,36), მესამე — ლამბერტი (23,66).

ტურნირები და შედეგები

● **ტარახა.** ესპანეთის ამ ქალაქში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირს 4,5 ქულით ლიდერობს 19 წლის ინგლისელი ჯონ ადამსი, რომელსაც სპეციალისტები დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ. ექვსი ტურის შემდეგ ასეთივე შედეგი აქვს იან ელვესტს.

● **ბირმინგემი.** ბრიტანეთის გზებზე ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლის მეშვიდე ეტაპი ავსტრალიელმა პატრიკ ჯონკერმა მოიგო — 106,6 კილომეტრი მან 2:23.25-ში დაფარა.

● **რომი.** დამთავრდა პროფესიულ ველოსიპედისტთა მრავალდღიანი ველორბოლის „ჯირო დ' იტალიას“ პირველი „სამუშაო“ კვირა. VII ეტაპი, რომლის სიგრძე 274 კმ, მარიო ჩიპოლინიმ გაიარა—4:04.43. [illegible] იყო ყველაზე სწრაფი. შვიდი ეტაპის შემდეგ ლიდერის მაისურს ინარჩუნებს მეორე იტალიელი ველოსიპედისტი ფრანკო კირიოლი — 34:57.08.

გაიმართა საბჭოთა კავშირის საფეხბურთო პირველობის მე-12 ტურის შეხვედრები 1 ლიგის გუნდებს შორის. სოხუმის დინამოელებმა შინ მიიღეს ბაქოს „ნეფთჩი“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „დილა“ (გორი) 2:0 (1:0).

ფოთი. „ფაზისის“ სტადიონი. 30 მაისი.

„კოლხეთი-1913“: გვახალია, თიბილაშვილი, კაკაჩია, გიორგაძე (გენძეხაძე), გოგატაძე, შამათავა, თოფურია, მაზარაძე, ბაჯალაძე, თვარაძე (ტორჩინავა), ქობალია.

„დილა“: ჩანტურია, კონდრატიევი, გაგნიძე, დალაქიშვილი, მიქელაძე, შავდათუაშვილი, მარეხაშვილი, მიხანაშვილი, პაპიძე (მარღიშვილი), ხორგუაშვილი, ნეფარიძე.

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (ხაშური), ზ. ლაცაბიძე, ხ. შალამბერიძე (ორივე — თბილისი).

გააფრთხილეს: ჯ. მარეხაშვილი, გ. გოგატაძე.

პირველ ნახევარში ორივე გუნდმა უფერულად ითამაშა. ოდნავ უკეთესად მაინც მასპინძლები გამოიყურებოდნენ, მაგრამ მათ ეპიზოდურ შეტევებს მატჩის დასაწყისში შედეგი არ მოჰყოლია. 35-ე წუთზე თვარაძის მიერ ჩამოწოდებულ მაღალ ბურთს შესწვდა თოფურია და თავური დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. მეორე ნახევარი უფრო საინტერესოდ წარიმართა. მასპინძლების შეტევებს „დილამ“ კონტრთამაში დაუპირისპირა, მაგრამ ამაოდ. ფოთელებმა კი დროის მცირე მონაკვეთში რამდენიმე შეტევა განახორციელეს. 66-ე წუთზე თვარაძის ჩამოწოდებულ ბურთს კარგად შეურჩია ადგილი ქობალიამ და მეორედ აიღო სტუმართა კარი.

ბელა ბიორბაძე,
„ლელოს“ კორ.

ხელახლა განიხილავენ

როგორც თქვენთვის ცნობილია, ხობის „კოლხეთისა“ და თბილისის „იბერიის“ მატჩის შედეგი „იბერიის“ კლუბის ხელმძღვანელობის საჩივრის საფუძველზე სადისციპლინო კომისიამ გააუქმა. ხობის „კოლხეთის“ კლუბის ხელმძღვანელობამ კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო კომისიაში, რომელმაც 29 მაისს სპეციალურ სხდომაზე იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე. იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოიქმნა აზრთა სხვადასხვაობა და კომისიის სხდომას თავი აარიდა ხსენებული მატჩის არბიტრმა და „იბერიის“ კლუბის ხელმძღვანელობამ, სააპელაციო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ხობის „კოლხეთის“ საჩივარი ხელახლა განიხილონ 5 ივნისს მატჩის არბიტრების და „იბერიის“ კლუბის ხელმძღვანელების თანდასწრებით.

ვ. გოგილავა,
საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ პრეზიდენტი

ევროპის ჩემპიონატი

29 მაისს მოსკოვში გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საბჭოთა კავშირისა და კვიპროსის გუნდებს შორის (III ჯგუფი). შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებით — 4:0, ბურთები გაიტანეს მოსტოვოიმ, მიხაილიჩენკომ, კორნეევმა და ალეინიკოვმა.

გათამაშების ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრკ	4	3	1	0	7-0	7
იტალია	4	2	2	0	8-2	6
უნგრეთი	6	2	2	2	8-7	6
ნორვეგია	4	2	1	1	6-2	5
კვიპროსი	6	0	0	6	2-20	0

უპირველესად, ქრისტიანები ვართ

თბილისს ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ესტუმრა ამერიკელ სტუდენტ ფეხბურთელთა გუნდი „იგლზი“. ეს არ არის პირველი შეხვედრა ამერიკული ფეხბურთის წარმომადგენლებთან საქართველოში და, მიუხედავად ამისა, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცხო ხილია მათი ხილვა.

— ხშირად გვეკითხებიან, პოპულარულია სოკერი ამერიკაში თუ არა — გვეუბნება „იგლზის“ ერთ-ერთი მწვრთნელი, ბატონი ტიმ დონელი — ამ კითხვაზე ორაზროვან პასუხს ვაძლევ ხოლმე — „ჰო, და არა“. პროფესიული სოკერი ანუ ევროპული ფეხბურთი არც ისე მასობრივია აშშ-ში. ამერიკაში რამდენიმე საფეხბურთო ლიგაა, მაგრამ მაყურებელთა რაოდენობით ვერ დავიტრაბახებთ. ჩვენში არის ე. წ. ძირითადი საფეხბურთო ლიგა, მინიფეხბურთში, მეც ერთ-ერთ ასეთ გუნდთან ვმუშაობ, ჩვენს ლიგაში გაერთიანებულია რვა ქალაქის გუნდი, აი, აქ ნამდვილად იგრძნობა მასობრიობა. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბევრი ამერიკელი ბავშვი თამაშობს ევროპულ ფეხბურთს და სპორტის ეს სახეობა ნორჩთა შორის კალათბურთთან ერთად ფრიად პოპულარულია. ისინი სოკერს თამაშობენ ყველგან და ყოველთვის და ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ ნიჭიერი და საიმედო ცვლა გვეზრდება.

● **თქვენი გუნდის შესახებ გვიამბეთ...**

— კეთილი, გუნდი შეიქმნა ამერიკის სხვადასხვა შტატების მოთამაშეებისაგან, ვაშინგტონი, მერილენდი, კენტუკი, ინდიანა... ისინი ყველანი სტუდენტები არიან, იცავენ ან იცავდნენ სასწავლებლის ღირსებას. გუნდში მოყვარული ფეხბურთელები არიან, ისეთებიც გვყავს, რომლებიც პროფესიულ ფეხბურთზე ოცნებობენ. „იგლზი“ მხოლოდ სამი კვირაა ჩამოყალიბდა და დღითი დღე, თამაშიდან თამაშამდე ვხვეწთ ოსტატობას.

ურთიერთობა დაიწყო — სამახსოვრო სურათი!

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

● **სიტყვამ მოიტანა და, რატომ შეარჩიეთ გუნდის სახელწოდებად „იგლზი“ („არწივები“)?**

— ჩვენი გუნდის ყველა მოთამაშე უპირველესად ქრისტიანია. არწივი კი, ქრისტიანებისთვის სიმამაცის სიმბოლოა. ბიბლიაში ხშირად გვხვდება ეპიზოდები, სადაც არწივი მხსნელად გვევლინება. ჩვენც ვისურვეთ, ქრისტიანული სიძლიერის სიმბოლო გავიხადოთ გზის მანათობლად.

● **რამდენადაც ვიცი, გუნდში არიან ეროვნული ნაკრების წევრებიც...**

— დიახ, ჩვენთან არის ნაკრების ერთი მოთამაშე პატრიკ ფიდელიკი, მართალია, იგი უკვე „მოხუცდა“, 30 წლისაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ წყვეტს ჩვენთან კონტაქტს და გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. სამწუხაროა, რომ ვერ ჩამოვიყვანეთ კიდევ ერთი ნაკრების (ამჯერად მინიფეხბურთის) მოთამაშე კოლინზი, იგი ნაკრებთან ერთად საპასუხისმგებლო მატჩებისთვის ემზადება.

● **თბილისს უკრაინიდან ეწვიეთ...**

— თავდაპირველად, ჩვენ ერთი კვირა მოსკოვში დავყავით, ვეთამაშეთ ბევრ იქაურ გუნდს, შემდეგ უკრაინაში გავემგზავრეთ — იქაც ანალოგიური შეხვედრები ჩავატარეთ. ჩვენ არ შეგვეძლო გვერდი აგვევლო თბილისისთვის.

● **თქვენ ალბათ, იცით, საქართველოს ფეხბურთი რაოდენ მკაცრ იზოლაციაშია...**

— დიახ, მაგრამ ჩვენ ევროპაში მოგვიწვია კიევის „დინამომ“, უკრაინაში ყოფნისას კი თბილისში შემოგვთავაზეს წამოსვლა. მოწვევა ჩვენს სურვილსაც დაემთხვა, და აღარ დავაყოვნეთ. თბილისში ვესაუბრეთ ჩვენს მასპინძლებს, „მრეტების“ ხელმძღვანელებს და ალბათ, მომავალში კვლავ ჩამოვალთ. რა თქმა უნდა, თქვენი გუნდის დაპატიჟებაც გვაქვს განზრახული. ჩვენი სურვილია, ვითამაშოთ არა მარტო სოკერი დიდ მოედნებზე, არამედ, შევეჯიბროთ მინიფეხბურთშიც.

ამერიკელმა ფეხბურთელებმა თბილისში სამი მატჩი გამართეს. თავდაპირველად, ფრედ — 1:1 — ითამაშეს თბილისის „მერანთან“. კვირას, 26 მაისის სახელობის სტადიონზე ორი ამხანაგური შეხვედრა გაიმართა. პირველში თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდმა უმასპინძლა „იგლზის“ ახალგაზრდულ შემადგენლობას და გაიმარჯვა მინიმალური ანგარიშით — 4:3. მეორე შეხვედრაში კი თბილისის „მრეტებმა“ დაამარცხეს სტუმრები 5:2.

თამუნა ჯიშკარიანი

ინტერვიუ ექიმთან

ელცინი ჩოგბურთს თამაშობს

ცნობილია, რომ თითქმის ყველა ჩვენი ხელმძღვანელი „ბრძოლის ველზე“ სიცოცხლის ბოლომდე რჩებოდა. მხოლოდ სიკვდილის გამომწვევი მიზეზების თაობაზე დასკვნის გაცნობის შემდეგ ვგებულობდით იმ დაავადებათა მთელი თაიგულის შესახებ, რომლებიც მათ წლების განმავლობაში აწუხებდათ.

დღეს ჩვენ ვესაუბრებით ბ. ელცინის მკურნალ ექიმს ა. გრიგორიევს.

● **დიდი ხანია მეთვალყურეობთ ბორის ნიკოლოზის ძეს?**

— 1985 წლიდან, თუმცა ვიცნობ 1980 წლიდან, ჯერ კიდევ სვერდლოვსკიდან. ის ჩემთან მომაგრებული იყო როგორც „სხვა ქალაქელი კონტინგენტი“.

● **ხშირად „იყენებდით“ მას როგორც პაციენტს?**

— უწინაც და ახლაც — ძალზე იშვიათად. ის სპორტული აღნაგობის ადამიანია. სპორტის ოსტატია ფრენბურთში. თუ თამაშობს — ორ საათ-ნახევარს, ქანცგაწყვეტამდე. ამ ბოლო დროს უფრო ჩოგბურთით არის გატაცებული.

● **დიდი ხანი არ არის, რაც ავიაკატასტროფასა და ავტოავარიაში მოხვდა.**

— ამას, ფაქტობრივად, არ უმოქმედია მის ჯანმრთელობაზე.

● **შარშან აგვისტოში, რესპუბლიკაში მოგზაურობისას, სამი კვირის მანძილზე შესაძლებლობა მქონდა თვალყური მედევნებინა მისი მუშაობის რეჟიმისათვის, დილის 7 საათიდან შუაღამემდე. როდესაც მისი თანმხლები პირები დასაძინებლად გაეშურებოდნენ, ის მაშინ იწყებდა მოსკოვიდან მიღებული საბუთების გაცნობას.**

— ასე იყო ხუთი წლის წინათაც. ჩვენი ცხოვრება მოვლენებით ისეა გადატვირთული, ასეთი რანგის ხელმძღვანელს მუშაობის სხვაგვარი რეჟიმი ვერ ექნება. ყველაფერი ხელქვეითებს დაავალო — ეს იმას ნიშნავს, რომ სიტუაციას მთლიანად ვერ აკონტროლებდე.

ელცინის ერთ-ერთი შესანიშნავი თვისებაა მობილიზების უნარი. მისი სამუშაო დღე ხშირად ოც საათს გრძელდება.

● **რატომ ცივდება ასე ხშირად? თუ ეს უმეტესად „დიპლომატიური“ ავადმყოფობაა?**

— არა, რასაკვირველია. გაიხსენეთ, ამ ბოლო ხანს გრიპის რამდენი ეპიდემია იყო. ის კი ამ პერიოდებშიც ათობით და ასობით ადამიანს ხვდებოდა. ასე რომ, ხშირად ავადმყოფსაც უხდება მუშაობა.

● **თქვენ იცნობთ მის ავადმყოფობის ფურცელს, მემკვიდრეობითობას. ცნობილია, რომ, მაგალითად, ბავშვობაში გადატანილი ავადმყოფობა ზოგჯერ მოგვიანებით იჩენს თავს.**

— ასეთი შეკითხვები ხშირად გაისმის ბოლო ხანებში, მას შემდეგ, რაც ელცინის ჯანმრთელობის შესახებ მითქმა-მოთქმა დაიწყო, უფრო ზუსტად, 1987 წლიდან, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის იმ ავბედითი ნოემბრის პლენუმის შემდეგ. ელცინის სიტყვა ამ პლენუმზე არ გამოირჩეოდა მისთვის ჩვეული ენერგიით. ამას თავისი მიზეზებიც ჰქონდა და ეს გახლდათ ერთადერთი შემთხვევა, როდესაც გამოსვლის დროს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მართლაც არასახარბიელო იყო.

მისი მემკვიდრეობითობა, გადატანილი ავადმყოფობის თავისებურებანი, მოტეხილობანი, ნაღრძობები უფლებას გვაძლევს დაბეჯითებით ვთქვათ, რომ დღესდღეობით ასეთ მაღალ პოსტზე — რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ან პრეზიდენტად მუშაობაში მას ხელი არაფერმა უნდა შეუშალოს.

● **როგორია მისი ახლობლების ჯანმრთელობა?**

— მას ორი ქალიშვილი ჰყავს. უფროსმა სამშენებლო ინსტიტუტი დაამთავრა, უმცროსმა — საავიაციო. ორივეს სრულიად ჯანმრთელი შვილები ჰყავს. დედამისმა უკვე მეოთხმოცე წელიწადს გადააბიჯა და ღვთის წყალობით, კარგად არის. მამა 72 წლის ასაკში ბუნებრივი სიკვდილით მოუკვდა.

● **როგორც ცნობილია, 1987 წელს პლენუმზე მონაწილეობისათვის ის საავადმყოფოდან გამოიყვანეს — წამლების „ცხენის“ დოზა მისცეს და ლოგინიდან ააყენეს. რატომ მოხდა ასე?**

— ეს იყო არა ავადმყოფობა, არამედ საერთო მდგომარეობა, დაკავშირებული იმ პერიოდის დიდ ნერვულ დაძაბულობასთან. რაც შეეხება „მეყსეული“ გამოჯანმრთელებისთვის წამლებით „გაჰყეპის“ მეთოდს, მე მისი შემფასებელი ვერ ვიქნები. აქ ისედაც ყველაფერი ნათელია.

● **რა შეგიძლიათ თქვათ „ამერიკულ ხოუებზე“?**

— სპეციალისტებისათვის ამაში არავითარი მოულოდნელობა არ ყოფილა. ნებისმიერი ადამიანი მრავალსაათიანი ფრენისა და საათების სარტყელთა ცვლილებების შემდეგ დაახლოებით 5 დღე-ღამის განმავლობაში თავს უქეიფოდ გრძნობს. სწორედ ეს იწვევს მოდუნებას, რეაქციის შენელებას, ძილ-ბურანში ყოფნას.

● **წერილები მოწმობს, რომ ბევრს აინტერესებს ბორის ელცინის დამოკიდებულება სასმელისადმი.**

— ბორის ნიკოლოზის ძეს შეუძლია შესვას სადღეგრძელო, თუ ეს რაიმე ტრადიციასთან არის დაკავშირებული. არის შემთხვევები, როდესაც არ შეიძლება ოფიციალური შეხვედრების დროს ან ვინმეს პატივსაცემად გამართულ ვახშამზე ჭიქა არ ასწიო. ეს სრულიად ნორმალურია და სხვაგვარად მოქცევა ალბათ, უფრო ფარისევლობას დაემსგავსებოდა.

● **რამდენი ფურცელია მისი ავადმყოფობის ისტორიაში?**

— 1980-დან 1985 წლამდე დიდი-დიდი — 10 ფურცელი, შემდეგ დაკვირვებები უფრო რეგულარულია, მაგრამ აქაც 90 პროცენტი მხოლოდ და მხოლოდ უსარგებლო ნაჯღაბნია.

ა. უგლანოვი,
„არგუმენტი ი ფაქტი“ №20,
1991 წ. მაისი.

კარლ ლუისი და ბენ ჯონსონი: დასწრებული დუელი

სევილია. „გრან-პრის“ პროგრამით გათვალისწინებულმა მძლეოსანთა ამ საერთაშორისო შეჯიბრებამ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი უმთავრესად გამოიწვია იმის გამო, რომ 100 მეტრზე რბენაში ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ ძველი მეტოქეები — ბენ ჯონსონი (კანადა) და კარლ ლუისი (აშშ). როგორც იქნა, შედგა თანამედროვეობის ორი უძლიერესი სპრინტერის დასწრებული დუელი, რომელმაც გულშემატკივართა იმედები აშკარად გააწბილა. ჯონსონი თავის გარბენში მხოლოდ მეხუთე იყო — 10,69 (პირველი ადგილი აქ ამერიკელმა მარკ უიზერსპუნმა დაიკავა — 10,37). კარლ ლუისს კი მეორე გარბენში მისმა თანამემამულემ დენის მიჩელმა აჯობა, რომელსაც საბოლოო ჯამში საუკეთესო დრო — 10,15 აღმოაჩნდა (ლუისს მეორე შედეგი ჰქონდა — 10,30). უნდა ითქვას, რომ ამ დღეს სტადიონზე ძლიერი პირქარი იყო და ამან შედეგებზე უარყოფითი გავლენა იქონია.

გთავაზობთ ზოგიერთ სხვა სახეობაში გამარჯვებულთა გვარებს. ვაჟები. 200 მ. მაიკლ ჯონსონი — 20,29; 400 მ. სტივ ლუისი (ორივე — აშშ) — 44,71. 5000 მ. ფრენკ ო მარა (ირლანდია) — 13.18,82; 110 მ. თარჯრბენი. გრეგ ფოსტერი — 13,28; 400 მ. თარჯრბენი. დენი ჰარისი — 48,39. სიგრძე. გორდონ ლეინი (სამივე — აშშ) — 828 სმ.

აძელიო ვიჩინი იძულებულია...

რომი. ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის მესამე შესარჩევ ჯგუფში საბჭოთა კავშირის მეტოქემ — იტალიის ნაკრებმა შევსება მიიღო. მწვრთნელი აძელიო ვიჩინი ნორვეგიის გუნდთან ოთხშაბათის მატჩში გამოსცდის „ჯენოვას“ ნახევარმცველ ჯენარდო რუსტოლოსა და „ტორინოს“ ფორვარდს ჯანლუიჯი ლენტინის.

ასეთ უკიდურეს ზომას მწვრთნელი მიმართავს იმიტომ, რომ ნაკრების უახლოეს მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებენ საუკეთესო ფეხბურთელები — რობერტო ბაჯო, ჯუზეპე ჯანინი, რობერტო დონადონი და პიეტრო ვერხოვოდი. შეგახსენებთ, რომ იტალიის ნაკრები 6 ქულით (ოთხი თამაშიდან) მეორე ადგილზეა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში და სსრკ-ის გუნდს ერთი ქულით ჩამორჩება.

მართლაც დიდია ცდუნება

ჰელსინკი. ფინელი შუბისმტყორცნელი სეპო რატი, როგორც ჩანს, ღრმა კვალის დატოვებას აპირებს მძლეოსნობის ისტორიაში. ერთი თვის წინ 29 წლის მძლეოსანმა ფანტასტიკური მსოფლიო რეკორდი დაამყარა იაპონიაში. მის მიერ ნატყორცნმა შუბმა გადაუფრინა 90 მეტრის ზღვარს და დაეშვა 91 მეტრსა და 98 სანტიმეტრზე. მაშინ გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ დიდებულ რეკორდს დიდხანს ვერავინ გაეკარებოდა ახლოს.

რეკორდს მართლაც ვერავინ გაეკარა... თვითონ რეკორდსმენის გარდა. და ეს მოხდა [illegible] ტყორცნის ერთი თვის თავზე. ფინეთის ქალაქ პუნკალადამში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე სეპო რატიმ თავის ძველ მიღწევას ერთბაშად თითქმის ხუთი მეტრით გადააჭარბა. ამიერიდან, მსოფლიო რეკორდების აღმნიშვნელ გრაფაში [illegible] შედეგი 96 მ. 96 სმ. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ფინელ მძლეოსანს უმოკლეს ხანში ამ რეკორდის გაუმჯობესებაც აქვს გუნებაში? რაც უნდა იყოს, 100 მეტრზე შუბის ტყორცნა დიდი ცდუნებაა.



საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში

თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. 2 ივნისი.

„ყოჩები“ (თბილისი) — „იმერეთი“ (ჭიათურა) 21:7 (9:7).

„ყოჩები“: თათარაშვილი, ჯაფარიძე, ბარძიმაშვილი, ლიპარტელიანი (გვენაძე), ყუბანეიშვილი, ქეიშვილი, გიორხელიძე, გიგაშვილი (თეზელაშვილი), შამათავა (ფირიაშვილი), მ. გიორგაძე, მაკავარიანი (გეგიძე), კომლაძე, გოგიშვილი, კობახიძე, ლეჟავა.

„იმერეთი“: მამისეშვილი, გაფრინდაშვილი, ტყემალაძე (თაბაგარი), ჟუჟა გიორგაძე, ხაცერაძე, ბ. ბურჯანაძე, ხუციშვილი, დევიძე (შეყლაშვილი), გოჩა გიორგაძე, იაკობიძე, მესხი, ჯაფარიძე, კაპანაძე, წიწილაშვილი, ხიკინბილაშვილი.

მსაჯი გოჩა აბაშიძე (თბილისი).

„ყოჩები“ ახლახან დაბრუნდნენ ჰოლანდიიდან, სადაც დიდ საშვიდკაცო ტურნირში იასპარეზეს და ჩინებულ სპორტულ ფორმაშიც იმყოფებიან. ამას ვერ ვიტყვით „იმერეთზე“, რომელსაც გარკვეული მიზეზების გამო ხელი შეეშალა ბოლო ტურების მატჩებისთვის სამზადისში.

ანგარიში პირველი ტაიმის შუაწელში გაიხსნა, როცა ყუბანეიშვილმა ფეხით დაკიდა ბურთი, შეჰყვა მას, ჩაუშრა გადაცემა მომგერიებელს და გაიტანა ლელო, რომელიც გარდასახა კობახიძემ. თუმცა ჭიათურელებმა დიდხანს არ „ანებივრეს“ მეტოქე და ბ. ბურჯანაძემ, ისარგებლა რა „ყოჩების“ მცველის შეცდომით, ლელო გაიტანა. მალე მანვე საჯარიმო გამოიყენა და თავისიანებიც დააწინაურა.

ამის შემდეგ გუნდებმა პოზიციური თამაშის ტაქტიკა ირჩიეს, ეს კი უფრო მასპინძლებს აძლევდათ ხელს. მათ ყველაფერში აჯობეს მეტოქეს, გარდა აუტებისა. ზუსტი იყო მათი დამრტყმელი კობახიძეც, რომელმაც სამი საჯარიმო შეაგდო და მატჩის მიწურულს კომლაძის გატანილი ლელოც გარდასახა.

ვაჟა წოწკოლაური

ავტოსპორტის ისტორიიდან

მსოფლიოს პირველი ჩემპიონი

1950 წლის 13 მაისს ინგლისში, „სილვერსტოუნზე“, ევროპის „გრან პრის“ გათამაშებით საზეიმოდ გაიხსნა ავტოსპორტის ისტორიაში მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში.

შეჯიბრება ჩატარდა ომისდროინდელ აეროდრომზე, რომელიც საგანგებო სარბოლო ტრასად გადაკეთდა. პილოტებს აქ 70 წრე უნდა გაევლოთ, ე. ი. დაეფარათ 325,088 კილომეტრი სიგრძის მანძილი.

ასპარეზობას ინგლისის დედოფლის, ელისაბედის ოჯახი დაესწრო. მეფე გეორგმა, დედოფალმა ელისაბედმა და პრინცესა მარგარეტმა დაათვალიერეს საავტომობილო ბოქსები, რიგრიგობით მიესალმნენ ყველა პილოტს და წარმატება უსურვეს შეჯიბრებაში.

საკვალიფიკაციო რბოლების შემდეგ პილოტები შემდეგნაირად განლაგდნენ სასტარტო ბილიკზე:

პირველი რიგი დაკავებული ჰქონდათ „ალფა რომეოს“ ავტომრბოლებს: ჯუზეპე ფარინას (იტალია), ლუიჯი ფაჯოლის (იტალია), ხუან მანუელ ფანხიოს (არგენტინა) და დევიდ პერნელს (ინგლისი), მეორე რიგში იდგნენ: ბირა („მაზერატი“), ჟირო-კაბატუ („ტალბო“) და მარტინი („ტალბო“); მესამეში — ემანუელ დე გრაფენრიდი (შვეიცარია, „მაზერატი“), ლუი როზიე (საფრანგეთი, „ტალბო“), უოკერი („ი-არ-ეი“) და ლუი ხირონი („მაზერატი“).

სულ 21 ავტომრბოლი ასპარეზობდა 5 ფირმის ავტომობილით: 4—„ალფა რომეო“, 6—„მაზერატი“, და 2 — „ალტა“.

სამეფო ლოჟასთან ყველაზე ახლოს იდგა საკვალიფიკაციო რბოლებში გამარჯვებული იტალიელი ჯუზეპე (ნინო) ფარინა, რომელმაც სტარტის შემდეგ, მეორე წრეზე სარეკორდო დრო აჩვენა და განავითარა საშუალო სიჩქარე საათში 151,311 კილომეტრი. მომდევნო წრეზე დაწინაურდა ფანხიო. ამ უკანასკნელს მალე ფაჯოლიმ გაასწრო. მეათედან მეოცე წრის ჩათვლით კვლავ ფარინა და ფაჯოლი ლიდერობდნენ. ისინი უსწრებდნენ ყველას, არგენტინელ ფანხიოსაც, რომელმაც ტემპს უმატა, რათა მესამე ადგილი არ დაეკარგა.

25-ე წრეზე პირველი იყო ფარინა, მეორე — ფაჯოლი, მესამე და მეოთხე — ფანხიო და პერნელი. 36-ე წრეზე საბურავების გამოსაცვლელად ერთიმეორის მიყოლებით შევიდა ბოქსში ოთხივე „ალფა რომეო“; მთელ ამ ოპერაციას 30,32 წამი (!) დასჭირდა.

50-ე წრეზე ფარინა მხოლოდ ნახევარი წამით უსწრებდა ფანხიოს, მას 15 წამით ჩამორჩებოდა ფაჯოლი და 23-ით — პერნელი. შეჯიბრების ბედი გადაწყდა ფინიშამდე 8 წრით ადრე, როცა ფანხიოს საბოლოო შეტევა არგენტინელი პილოტის მარცხით დამთავრდა ავტომობილის მწყობრიდან გამოსვლის გამო.

საბოლოოდ, გაიმარჯვეს „ალფა რომეოს“ პილოტებმა: 1. ჯუზეპე ფარინა — 70 წრე გაიარა 2 საათში, 13 წუთსა და 23 წამში (საშუალო სიჩქარე საათში — 146,370 კილომეტრი); 2. ლუიჯი ფაჯოლი; 3. დევიდ პერნელი.

1950 წლის სეზონის ბოლოს ნინო ფარინამ კიდევ ორი „გრან პრი“ (შვეიცარია, ბელგია) მოიგო და ავტორბოლის ისტორიაში შევიდა როგორც „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში მსოფლიოს პირველი ჩემპიონი. უძლიერესის სახელი მან 44 წლის ასაკში მოიპოვა.

ფარინა იტალიის ერთ-ერთ უბრწყინვალეს პილოტად ითვლებოდა. მას ენცო ფერარიმ „უდიდესი ავტომრბოლი“ უწოდა. შემდეგ, ფარინა „მაზერატის“ და „ფერარის“ ღირსებასაც იცავდა.

49 წლის ასაკში იტალიელმა სპორტსმენმა ასპარეზობა დაასრულა, 1966 წლის 30 ივნისს კი, შვეიცარიის დედაქალაქ ჟენევაში სამუშაოდ მიმავალი, ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

„კორიერე დელა სერადან“ თარგმნა დავით ჩუბინიძემ.

ნბა: სპორტი და შოუ

რატომ იზიდავს ტრიბუნები მილიონობით გულშემატკივარს ნბა-ს ჩემპიონატის მატჩებზე, რატომ უყურებს მოჯადოებული ათეულობით მილიონი ადამიანი ამ შეჯიბრებებს? პასუხი მარტივია: ხალხს ბურთის ჯადოქართა უნაკლო არტისტიზმი, ბრძოლის დრამატიზმი და ბრწყინვალე სანახაობა ატყვევებს.

შარშანდელ ჩემპიონატში, რომელმაც რვა თვეს გასტანა, ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა „დეტროიტ პისტონსმა“. დეტროიტელთა სიხარული სისხლის სამართლის კოდექსის ზღვარსაც კი გასცდა. ადამიანთა ტალღამ ჯერ საიმედოდ გადაკეტა ტრანსპორტის მოძრაობა ცენტრალურ მაგისტრალზე, შემდეგ კი გონებაარეულმა ფანატიკოსებმა ანგარიშმიუცემლად დაიწყეს მაღაზიების ვიტრინების მსხვრევა, ავტომობილების გადაბრუნება, ლუდის ქილების განუკითხავად სროლა. თხუთმეტი ათასი დოლარი იზარალა სავაჭრო ცენტრმა „მონტე-კარლომ“. დაიღუპნენ ადამიანები, მათ შორის ოთხი წლის ბავშვიც. ერთ-ერთ ქუჩაზე ავტომობილი ხალხის ნაკადში შეიჭრა და ოთხი ადამიანი იმსხვერპლა.

ორი დღის შემდეგ, ჩემპიონთა პატივსაცემად გამართულ საზეიმო შეხვედრა-ალლუმზე ყველაფერმა მშვიდად, სანაქებოდ ჩაიარა. ყვავილებში ჩაფლულმა ზეიმის გმირებმა ქალაქის მთავარ ქუჩებში ჩაიარეს. ველარსად ნახავდით ჩამსხვრეულ ვიტრინებს, რომლებშიც ახლა უხვად გამოეფინათ საკალათბურთო ატრიბუტიკა, განაახლეს და გადალებეს შენობების კედლები. ერთი სიტყვით, ყველაფერმა დიდებული შოუს საკადრისად ჩაიარა. ზეიმს ორასი ათასი ადამიანი ადევნებდა თვალს. ამისთანა ლამაზ, საამო სანახაობაზე, ტრადიციულად, ერთნაირად ზრუნავენ კლუბები და ნბა-ს ხელმძღვანელები.

საერთოდ, დეტროიტის დრამატული მოვლენები უჩვეულოა კალათბურთისთვისაც და მისი მალმერთებელი ამერიკისთვისაც. ხალხი უდიდესი ინტერესით ადევნებს თვალს ნბა-ს ჩემპიონატს, ხოლო იმ ოცდაშვიდი ქალაქის მკვიდრთ კი, რომელთა კლუბებიც ამ შეჯიბრებაში გამოდიან, უკალათბურთოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ. დიდ გასაჭირში არიან ლოსანჯელესელები, რომლებიც თავიანთ სიმპათიებს უნაწილებენ სახელგანთქმულ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსს“ და „ლოს-ანჯელეს კლიპერსს“.

პროფესიული კალათბურთის უდიდესი პოპულარობის მიუხედავად, ნბა-ს მესვეურნი არაფერს იშურებენ ამ სახეობის „შემდგომი“ აგიტაცია-პროპაგანდისთვის“. მაგალითად, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში ყოველწლიურად იმართება საკალათბურთო ფესტივალები „ოლ სთარზ უიკენდ“. მაიამიში გამართული ბოლო ფესტივალის პროგრამით მოეწყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვარსკვლავთა ტრადიციული მატჩი, კონკურსები ბურთის კალათში ზემოდან ყველაზე ეფექტურად ჩაგდებაზე და საუკეთესო სნაიპერის გამოსავლენად. უზადო გემოვნებით მომზადებულ შოუს მთელი ამერიკა უყურებს, აღსანიშნავია, რომ გუნდების შემადგენლობას ასახელებენ რამდენიმე კვირის განმავლობაში მთელს ქვეყანაში მოწყობილი გამოკითხვის მონაწილე გულშემატკივრები და არა მწვრთნელები.

ნბა-ს ალღოიანი წარმომადგენლები ამით არ კმაყოფილდებიან: მათ სურდათ ორი ყველაზე პოპულარული და ძვირადღირებული მოთამაშის — მაიკლ ჯორდანისა და „მეჯიკ“ ჯონსონის შეხვედრის გამართვა. ვარაუდობდნენ, რომ მატჩი — მილიონი დოლარის საპრიზო ფონდით — უნდა ჩატარებულიყო განსაკუთრებული წესებით, ორ თხუთმეტწუთიან ტაიმად. აღინიშნა ისიც, რომ სარეკლამო შემოსავალი საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდებოდა, მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

ნბა-ს მატჩების სანახაობრიობას ხელს უწყობს უხეშობასთან შეუნელებელი ბრძოლა: წესრიგის დამრღვევებს მკაცრად სჯიან. „დეტროიტისა“ და „ფილადელფიის“ შერკინება ამ გუნდებს სარეკორდო თანხა — 162 ათასი დოლარი დაუჯდებათ. მთავარმა „ბუნტისთავებმა“ — დეტროიტელმა ბილ ლაიმბირმა და ჩარლზ ბარკლიმ ოცოცი ათასი დოლარი გადაიხადეს, სკოტ ჰესტინგსმა კი — ათი ათასი. ამასთან, სამივეს თითო კალენდარული თამაში გამოატოვებინეს. სათადარიგო სკამიდან წამომდგარმა ათმა კალათბურთელმა ხუთას-ხუთასი დოლარი გადაიხადა. ორივე კლუბი კი დამატებით ორმოცდაათი ათასი დოლარით დაჯარიმდა.

მოამზადა ბელა ჯილაურმა.

„ბერლინერ კურიერის“ ცნობით

როგორც გაზეთი „ბერლინერ კურიერი“ იუწყება, გერმანიის დედაქალაქი აპირებს 1993 წელს მსოფლიო პირველობაზე გარი კასპაროვისა და ახალი პრეტენდენტის მატჩის გამართვას.

ფიდე-ს კონგრესი, რომელმაც საბოლოოდ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სად ჩატარდება ეს ორთაბრძოლა, 1991 წლის მიწურულში გაიმართება ბერლინში. ამ შემთხვევის გამოყენება სურთ გერმანიის საჭადრაკო ფედერაციის დირექტორ-აღმასრულებელ ჰორსტ მეცინგსა და ქვეყნის საჭადრაკო ორგანიზაციის სხვა მესვეურებს.

— ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს უფლება მივიღოთ — განუცხადა მეცინგმა ჟურნალისტებს. მისი შეფასებით, მატჩის გამართვა 15 მილიონი მარკა დაჯდება. ამ თანხის დაფარვას გერმანიის საჭადრაკო ფედერაციას ახლავე პირდება ფირმა „პრო სპორტი“.

დირექტორ-აღმასრულებელის ცნობით, კასპაროვთან უკვე შედგა წინასწარი მოლაპარაკება. ჩემპიონი თანახმაა ითამაშოს ბერლინში, თუკი, რა თქმა უნდა, მის პირობებს დააკმაყოფილებენ. კასპაროვი მოითხოვს ჰონორარის სახით მას 5 მილიონი მარკა გადაუხადონ.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!

1991 წ. 8 ივნისიდან შეტანილია ცვლილებები სპორტული ლატარიების ჩატარების პირობებში.

ლატარია „სპორტლოტო 6-45“, „სპორტლოტო 5-36“ და „სპორტპროგნოზის“ ერთი სათამაშო კომბინაციის ღირებულება განისაზღვრება 50 კაპიკის ოდენობით. ამრიგად, „სპორტლოტოს“ ბილეთის ღირებულება ერთ ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად განისაზღვრება 1 მანეთის ოდენობით. 10-ტირაჟიანი ბილეთი კი 10 მანეთი ეღირება.

სამვარიანტიანი ლატარია „სპორტპროგნოზის“ ბილეთი ეღირება 1 მანეთი და 50 კაპიკი, ექვსვარიანტიანი კი — 3 მანეთი.

ლატარია „სპორტლოტოს“ და „სპორტპროგნოზის“ ერთი სათამაშო კომბინაციის მაქსიმალური მოგება განუსაზღვრელია.

მინიმალური გარანტირებული მოგება ლატარია „სპორტლოტო 6-45“ ერთ სათამაშო ვარიანტში შეადგენს 50 მანეთს, ლატარია „სპორტლოტო 5-36“ — 5 მანეთს, ლატარია „სპორტპროგნოზში“ — 1 მანეთს,

ლატარია „სპრინტის“ ბილეთები ეღირება 1, 3, 5 და 10 მანეთი, ახალ სერიებში შესაბამისად გაიზარდა გასათამაშებელი ავტომანქანების („ვოლგა“, „ჟიგული“, „ზაპოროჟეცი“) რიცხვი. მაქსიმალური მოსაგები თანხა გაიზარდა 25.000 მანეთამდე.

„სპორტლოტო 5-36“-დან და „სპორტპროგნოზის“ ახალი ბილეთები ჯერჯერობით დამზადების პროცესშია და ისინი მალე გამოჩნდება გაყიდვაში. მანამდე კი ინვენტარიზაციისა და გადაფასების შემდეგ, 1991 წლის 3 ივნისიდან, ახალ ფასებში გაიყიდება ძველი ბილეთები, რომლებზეც ადრინდელი ფასებია მინიშნებული.

საქსპორტლოტო.

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1991 წლის 21-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: დაშვებულია 1.606.373 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცნია და ამიტომ ამ ჯგუფისთვის განკუთვნილი მოსაგები ფონდი 12.048 მანეთი დაემატება 22-ე ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს, რომელიც გაიზარდა 128.807 მანეთამდე. 5 ნომრის გამოცნობისთვის (27) მოგება 4.039 მანეთია, ოთხისთვის (1.921) — 146.

საქართველოში: დაშვებულია 36.547 ვარიანტი. 6—0, 5—1, 4—44.

„სპორტლოტო 5 36“-დან: დაშვებულია 16.540.656 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (24) მოგება 20.000 მანეთია, ოთხისთვის (5.351) — 168, სამისთვის (183.148) — 6.

საქართველოში: დაშვებულია 304.364 ვარიანტი. 5—1 (თბილისი), 4—159, 3—4.002.

21-ე და 12-21 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 15 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით.

* * *

გაიმართა „სპორტლოტოს“ 1991 წლის 22-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 1 (კალათბურთი), 10 (წყალბურთი), 16 (ცხენოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 30 (ძალოსნობა), 33 (ფეხბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 9 (საგზაო-ტკეცილო ველორბოლა), 20 (აფროსნობა), 22 (წყალში ხტომა), 25 (ციგაობა).

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1991 წლის 21-ე ტირაჟის შედეგები. ტირაჟში დაშვებულია 1.959.508 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (75) მოგება 435 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (5.931) — 11, 11 შედეგის გამოცნობისთვის (50. 995) —4.

საქართველოში: დაშვებულია 69.148 ვარიანტი. 13—2 (თბილისი), 12—148, 11—1.357.

21-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 15 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სპორტკლუბი „ლოკომოტივი“ იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სპორტკლუბის თავმჯდომარე

ოთარ ბიძინას ძე გოშაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ქორქია, კორექტორები ც. ჩიტიშვილი და მ. ძეძამიძე.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.